განკარგულება:**g-87. 8723249001**
თარიღი:**06/09/2023**

**განკარგულება №36**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ ქარუმაშვილის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 17.1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს იოსები ქარუმაშვილს მიეცეს 2022 წლის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღით - 2023 წლის 8 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით.

2. იოსები ქარუმაშვილს შვებულების პერიოდში შეუჩერდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

3. განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის 8 სექტემბრიდან.

4. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. ახმეტა, ილია ჭავჭავაძის ქ. №101).

დავით ავაზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი